



British Embassy
Tbilisi



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
feel the future

დიდი ბრიტანეთის ელჩმა სპეციალური მიღებას უმასპინძლა

დიდი ბრიტანეთის ელჩმა ალექსანდრა ჰოლ ჰოლმა სპეციალურ მიღებას უმასპინძლა, სადაც გააცილა და წარმატება უსურვა იმ სტუდენტებს, რომლებიც ჩივნიგის პროგრამის მეშვეობით 2015/2016 სასწავლო წელს წამყვან ბრიტანულ უნივერსიტეტებში გააგრძელებენ სწავლას.

ლონისძიებაზე განსაკუთრებით აღინიშნება ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად ჩივნიგის სქემით საქართველოდან სულ უფრო მეტი და მეტი პროფესიონალი და მომავალი ლიდერი გაემგზავრება დიდ ბრიტანეთში. წელს, ეს ციფრია 15, საიდანაც 3 სრულად ფინანსდება საქართველოს ბანკის მიერ, ჩივნიგის პროგრამასა და საქართველოს ბანკს შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში.

ბრიტანეთის ელჩი ალექსანდრა ჰოლ ჰოლი: „მოხარული ვარ ვუმასპინძლო წარმატებულ სტუდენტებს, რომლებიც სულ მალე გაემგზავრებიან დიდ ბრიტანეთში სწავლის გასაგრძელებლად. წელს ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ პირველად ჩივნიგის საქართველოში არსებობის ისტორიაში, ჩვენ საშუალება გვაქვს 15-მდე პროფესიონალს და მომავალ ლიდერს მივცეთ ბრიტანულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების საშუალება. სამი მათგანი სრულად დააფინანსა საქართველოს ბანკმა, და მე კიდევ ერთხელ მინდა მათ მადლობა ვუთხრა ჩივნიგის სქემის მხარდაჭერისთვის.“

“საქართველოს ბანკმა დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან 2013 წელს გააფორმა პარტნიორობა, რის შედეგადაც დაწესდა საქართველოს ბანკისა და „ჩივნიგის“ ერთობლივი სტიპენდია (Chevening/Bank of Georgia Scholarship). საქართველოს ბანკის მიზანია ხელი შეუწყოს იმ სტუდენტებს, რომელთაც სურთ მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის განათლების მიღება და წარმატებული მომავლის შექმნა. წელს ბანკის დაფინანსებით დამატებით 3 სტუდენტი მიიღებს განათლებას დიდ ბრიტანეთში“ -აღნიშნა საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა მურთაზ კიკორიამ.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ გვერდი: www.chevening.org/georgia;
www.istudy.ge